ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება № 58-55

"25" ივლისი 2025 წ.

ქ. თბილისი

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციის განთავსების/აღდგენის/რესტავრაციის/რეკონსტრუქციის და მემორიალური დაფის განთავსების წესის დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 თებერვლის N53-33 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

შევიდეს ცვლილება „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციის განთავსების/აღდგენის/რესტავრაციის/რეკონსტრუქციის და მემორიალური დაფის განთავსების წესის დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 თებერვლის N53-33 დადგენილებაში (ვებგვერდი: www.matsne.gov.ge; გამოქვეყნების თარიღი: 20/02/2020; სარეგისტრაციო კოდი: 450050020.35.101.016690) და დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციის განთავსების/აღდგენის/რესტავრაციის/რეკონსტრუქციის და მემორიალური დაფის განთავსების წესის":

ა) მე-2 მუხლის:

ა.ა) „ა" პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიცია – პიროვნების, ფაქტის, ისტორიული ან/და საზოგადოებრივი მნიშვნელობის მქონე მოვლენის უკვდავსაყოფად, სხვადასხვა მასალით შექმნილი ობიექტი, რომელიც კულტურული ფასეულობას მიეკუთვნება: ძეგლი (ქანდაკება, სკულპტურა), ობელისკი და რომელზეც საქართველოს სახელმწიფო ენაზე მიეთითება შემდეგი ინფორმაცია: ავტორი, არქიტექტორი, განთავსების თარიღი და მასთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში). ინფორმაცია არქიტექტურულ-მხატვრულ კომპოზიციაზე, საქართველოს სახელმწიფო ენასთან ერთად, შესაძლებელია შესრულდეს სხვა ქვეყნის სახელმწიფო ენაზე;

ა.ბ) „ე" პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ე) სამინისტრო – საქართველოს კულტურის სამინისტრო.";

ბ) მე-3 მუხლის:

ბ.ა) მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) სსიპ – საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს წერილი, რომლითაც დასტურდება განმცხადებლის მიერ მითითებული უძრავი ნივთის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის არსებობა/არარსებობა, ასევე ინფორმაცია უძრავი ნივთის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის ფიზიკური ან/და ვიზუალური დაცვის არეალში მდებარეობის შესახებ;“;

ბ.ბ) მე-5 პუნქტი ამოღებულ იქნეს;

ბ.გ) მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„7. იმ შემთხვევაში, თუ განმცხადებელი ითხოვს არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციის გადაადგილებას სამსახურში უნდა წარადგინოს არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციის ფოტო და გადაადგილების შემდგომი ფოტომონტაჟი, საავტორო უფლების მქონე პირის თანხმობის წერილი, აგრეთვე, არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციის გადაადგილებასთან დაკავშირებული სამუშაოების დაფინანსების წყაროს შესახებ ინფორმაცია.“;

გ) მე-4 მუხლის:

გ.ა) მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ა[1]“ ქვეპუნქტი:

„ა[1]) სსიპ – საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს წერილი, განმცხადებლის მიერ მითითებული უძრავი ნივთის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის ფიზიკური ან/და ვიზუალური დაცვის არეალში მდებარეობის შესახებ.“;

გ.ბ) მე-5 პუნქტი ამოღებულ იქნეს;

დ) მე-5 მუხლს, მე-4 პუნქტის შემდგომ, დაემატოს შემდეგი შინაარსის „4[1]“ პუნქტი:

„4[1]. კომისიის მიერ დადებითი რეკომენდაციის გაცემის შემთხვევაში:

ა) თუ არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციის განთავსება ან გადაადგილება იგეგმება იმ ტერიტორიაზე, რომელიც წარმოადგენს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლს ან მდებარეობს უძრავი ნივთის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის ფიზიკური და/ან ვიზუალური დაცვის არეალში, განმცხადებელი ვალდებულია მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამის სამსახურს წარუდგინოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის — ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის (შემდგომში — არქიტექტურის სამსახური) გადაწყვეტილება;

ბ) თუ იგეგმება არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციის განთავსება ან გადაადგილება, მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამის სამსახური ვალდებულია, სამინისტროს შესათანხმებლად წარუდგინოს არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციის პროექტი, მოდელი და ესკიზი, შესრულებული/შესასრულებელი მასალის მითითებით, კანონმდებლობით დადგენილი წესით;

გ) თუ მემორიალური დაფის განთავსება იგეგმება შენობა-ნაგებობაზე, რომელიც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლია ან მდებარეობს უძრავი ნივთის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის ფიზიკური და/ან ვიზუალური დაცვის არეალში, განმცხადებელმა მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამის სამსახურს ვალდებულია წარუდგინოს არქიტექტურის სამსახურის გადაწყვეტილება.“;

ე) მე-5 მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციის ან/და მემორიალური დაფის განთავსების მიზანშეწონილობის განხილვის ეტაპის დასრულების და არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციის განთავსების

საკითხის სამინისტროსთან შეთანხმების შემდგომ, კომისია თბილისის მერს მიმართავს ერთ-ერთი შემდეგი რეკომენდაციით:

ა) თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციისა ან/და მემორიალური დაფის განთავსების საკითხის მიზანშეწონილად ცნობის შესახებ;

ბ) თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციის ან/და მემორიალური დაფის განთავსების საკითხის მიზანშეუწონლად ცნობის შესახებ.";

ვ) მე-6 მუხლის მე-4 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) იმ პიროვნების, ფაქტის, ისტორიული ან/და საზოგადოებრივი მნიშვნელობის მქონე მოვლენის უკვდავსაყოფად არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციის კვლავ განთავსების საკითხი, რომლის პატივსაგებად თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში უკვე განთავსებულია არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიცია.";

ზ) მე-6 მუხლს მე-6 პუნქტის შემდგომ დაემატოს 6^1 პუნქტი:

„6^1.ამ მუხლის მე-4 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტი არ ვრცელდება არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციის განთავსების საკითხის განხილვაზე, თუ ის უსასყიდლოდ გადაეცემა თბილისის მუნიციპალიტეტს.".

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **ზურაბ აბაშიძე**